N 91
30/06/2022

91-01-2-202206301205
https://edocument.ge/AdjaraGov/public

**ხულოს მუნიციპალიტეტის მერს**
**ბატონ ვახტანგ ბერიძეს**

**თემა: დაბა ხულოში დაგეგმილი ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის დარეზერვება და დაცვა**

**ბატონო ვახტანგ**

როგორც იცით, რომ გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში (ასევე ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით) ხორციელდება დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამა აჭარაში, რომელიც ეხება აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მშენებლობას.

ხულოს მუნიციპალიტეტში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 25 დეკემბრის #67 სკოუპინგის დასკვნის, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 20 იანვრის „ხულოს მუნიციპალიტეტში, სს „აჭარის წყლის ალიანსის“ საკანალიზაციო სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოუპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ #2-29 ბრძანებისა და 2022 წლის 21 იანვრის #545/01 წერილის მოთხოვნების საფუძველზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარედგინა **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში** კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლის გამწმენდი ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის **ხულოს მუნიციპალიტეტის** დაბის არეალისთვის.

რადგან საპროექტო ტერიტორია, სადაც დაგეგმილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, წარმოადგენს ხულოს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ამიტომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 18 მაისის #21/1793 წერილით გვეცნობა, რომ გზშ-ს ანგარიშს უნდა ერთვოდეს მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

www.awa.ge

საქართველო, აჭარა, ბათუმი, 6010, კ.გამსახურდიას ქუჩა N1, ოფისი N4-7, ტელ: (0422) 278686
k.Gamsakhurdia St N1, Office N4-7, 6010, Batumi, Ajara, Georgia Tel (0422) 278686
Info@awa.ge www.awa.ge

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაგვიდასტუროთ, რომ ხულოს მუნიციპალიტეტი თანახმაა აღნიშნულ ნაკვეთზე მოხდეს გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და მიიღოთ ყველა საჭირო ზომა აღნიშნულ ტერიტორიებზე ნაკვეთების დარეზერვებისა და დაცულობის მიზნით, რათა არ შეიზღუდოს მისი ხელმისაწვდომობა.

*დანართი:*
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 18 მაისის #21/1793 წერილი.

**პატივისცემით,**

თეიმურაზ ზედინაძე

დირექტორი